განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

MES 8 23 0001091782

ელექტრონული
ზეგავლასმული
ელექტრონულად

06/09/2023

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს
ეკატერინე კვირიკაშვილს

ქალბატონო ეკატერინე,

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს N1084489 05/09/2023წ. და N1089792 06/09/2023წ. წერილებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით გაიცეს, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კ N01.15.02.008.019) ქვემოთ ჩამოთვლილი რიგი ფართები - იმ პირობით, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სკოლა სრულყოფილად, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, არ მოხდება სკოლის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების დაზიანება და დაცული იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება.

- 172.33 კვ.მ. ფართი მოძრავ ქონებასთან ერთად, სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით (არაუმეტეს სამი წლის ვადით) - სანიტარული ნორმების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობით, ასევე, თუ მოიჯარეს წარმოდგენილი ექნება დოკუმენტაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში შესაბამისი მომსახურების რეგისტრაციის შესახებ და სკოლა აიღებს პასუხისმგებლობას, რომ რეგისტრირებული საქმიანობის გარდა სხვა ტიპის მომსახურება არ იქნება მიწოდებული (აღნიშნული განსაკუთრებით ეხება - საკვების დამზადებას შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე);

- 261.87 კვ.მ. ფართი მოძრავ ქონებასთან ერთად, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით (არაუმეტეს სამი წლის ვადით, სკოლის წერილებში მითითებულ დღეებსა და საათებში).

ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს - „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების შესაბამისად.
ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:
1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება და მასში შესული ნებისმიერი ცვლილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. უძრავი და მოძრავი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ქონების შეფასების უფლების მქონე პირის/ორგანიზაციის დასკვნა, რაც დასტურდება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტირებული ორგანიზაციის სერტიფიკატით.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი
ხმალაძე ნანა